საქართველო
GEORGIA

გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის
საქართველოს

MINISTRY OF ENVIRONMENTAL
PROTECTION AND AGRICULTURE
OF GEORGIA

N 6034/01
30/06/2020

6034-01-2-202006302009

საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტს

სამინისტრომ განიხილა თქვენი 2020 წლის 18 ივნისის N9057 წერილი, რომელიც ეხება ხარაგაულის მუნიციპალიტეტში, სოფ. ვერტყვიჭალაში უსახელო ღელეს კალაპოტში გამონამუშევარი ფუჭი ქანების N11 სანაყაროსა და წყალგამტარი არხის მოწყობის პროექტს.

გაცნობებთ, რომ გარემოზე ზემოქმედებას ექვემდებარება „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ I დანართით გათვალისწინებული საქმიანობა და ამავე კოდექსის II დანართით გათვალისწინებული საქმიანობა, რომელიც სკრინინგის გადაწყვეტილების საფუძველზე დაექვემდებარება გარემოზე ზემოქმედების შეფასებას.

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ II დანართის მე-9 პუნქტის 9.8 ქვეპუნქტის მიხედვით, წყალდიდობისა და დატბორვის საწინააღმდეგო სამუშაოები, ექვემდებარება სკრინინგის პროცედურას და საჭიროებს კოდექსით დადგენილი პროცედურების გავლას.

თქვენ მიერ წარმოდგენილი განცხადების მიხედვით, დაგეგმილია სოფელ ვერტყვიჭალასთან უსახელო ღელეს კალაპოტში გამონამუშევარი ფუჭი ქანების N11 სანაყაროსა და წყალგამტარი არხის მოწყობა, ხოლო სკრინინგის განცხადებაში საქმიანობის სახეობის გრაფაში მითითებულია ინფრასტრუქტურული ობიექტების მშენებლობა, რაც არ შეესაბამება გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის I და II დანართებით გათვალისწიებული საქმიანობების ჩამონათვალს. ამასთან, გასათვალისწინებელია, რომ სკრინინგის განცხადების წარმოდგენის საფუძვლებში მითითებულია „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ II დანართის მე-9 პუნქტის 9.8 ქვეპუნქტი, რომელიც მოიცავს წყალდიდობისა და დატბორვის საწინააღმდეგო სამუშაოებს, თუმცა სკრინინგის ანგარიშში განხილული არ არის როგორ მოხდება დაგეგმილი საქმიანობის შედეგად დატბორვისაგან და წყალდიდობისგან დაცვა.

0159, საქართველო, თბილისი, მარშალ გელოვანის გამზ. №6. ტელ.: +(995 32) 2378013 / +(995 32) 2378044
www.mepa.gov.ge
6, Marshal Gelovani ave., Tbilisi 0159, Georgia, Phone.:+(995 32) 2378013 / +(995 32) 2378044

აღნიშნულის გათვალისწინებით, გთხოვთ უზრუნველყოთ დაზუსტებული სკრინინგის განცხადების სამინისტროში განსახილველად წარმოდგენა.

ნინო თანდილაშვილი

მინისტრის მოადგილე